საუბნო საარჩევნო კომისიის წევრთა სერტიფიცირების გამოცდის შედეგები

საუბნო საარჩევნო კომისიის წევრთა სერტიფიცირების გამოცდები დასრულდა.

მოქალაქეებს 8 მუნიციპალიტეტში გახსნილი საგამოცდო ცენტრები მოემსახურა. გამოცდის ჩაბარების მსურველებს საშუალება ჰქონდათ აერჩიათ ჩამოთვლილთაგან ერთ-ერთ მუნიციპალიტეტში მოქმედი საგამოცდო ცენტრი: თელავი, ბოლნისი, მარნეული, გარდაბანი, თეთრიწყარო, ახალციხე, ახალქალაქი, ნინოწმინდა.

ინკლუზიური საარჩევნო გარემოს ხელშეწყობის მიზნებისთვის, სწავლების ცენტრმა უზრუნველყო საგამოცდო ტესტების თარგმნა საქართველოში მცხოვრები ეთნიკური უმცირესობებისთვის გასაგებ ენებზე. გამოცდა ქართულ-სომხურ-აზერბაიჯანულ ენებზე ჩატარდა.

გამოცდაზე ჯამურად რეგისტრირებული 2490 მოქალაქიდან საგამოცდო ცენტრებში 1929 გამოსაცდელი გამოცხადდა. გამოცდის ჩაბარების შედეგების მიხედვით საუბნო საარჩევნო კომისიის ხელმძღვანელ პირთა სერტიფიკატი 1904-მა პირმა მიიღო (ქალი-756; კაცი-1148). საგამოცდო ცენტრების მიხედვით დამუშავებული დეტალური სტატისტიკა ხელმისაწვდომია ბმულზე.

საგამოცდო ცენტრებში გამოცდის მიმდინარეობას აკვირდებოდა ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაცია: სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება - 8 დამკვირვებლით.

საუბნო საარჩევნო კომისიის ხელმძღვანელ პირთა სერტიფიცირების გამოცდები, მიმდინარე წლის 19 თებერვლიდან 1 მარტის ჩათვლით პერიოდში, სსიპ საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრმა, საქართველოს ცენტრალურ საარჩევნო კომისიასთან თანამშრომლობით განახორციელა.

2024 წლის 19 თებერვლიდან - 1 მარტის ჩათვლით პერიოდში გამართული საუბნო საარჩევნო კომისიის წევრთა სერტიფიცირების გამოცდის დეტალური სტატისტიკა

N	საგამოცდო ცენტრის დასახელება	გამოცდაზე დარეგისტრირებულ პირთა რაოდენობა	გამოცდაზე გამოცხადებულ პირთა რაოდენობა	პირთა რაოდენობა, ვინც გამოცდა წარმატებით ჩააბარა
1	თელავის საგამოცდო ცენტრი	194	175	175
2	ბოლნისის საგამოცდო ცენტრი	516	402	398
3	მარნეულის საგამოცდო ცენტრი	640	481	480
4	გარდაბნის საგამოცდო ცენტრი	173	123	120
5	თეთრიწყაროს საგამოცდო ცენტრი	163	129	129
6	ახალციხის საგამოცდო ცენტრი	45	33	27
7	ახალქალაქის საგამოცდო ცენტრი	459	392	383
8	ნინოწმინდას საგამოცდო ცენტრი	300	194	192